საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

“გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”

ბრძანება

11-01/1-4-202001291434

N 11/ს

29/01/2020

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 6 სექტემბრის N2-742 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამასთან ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ანა ჭოლოკავას 2020 წლის 29 იანვრის N34 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შინაგანაწესი დანართის შესაბამისად;

2. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2014 წლის 24 ივნისის N55 ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;

3. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;

4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე;

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი